ოქმი №28

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2023 წლის 22 ნოემბერი

ოქმი №28

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2023 წლის 22 ნოემბერი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა გ. ხოშტარია.
სხდომას ესწრებოდნენ:
ბიუროს წევრები: ზ. მაკალათია, დ. გუნია, დ. ცანავა, გ. მიგინეიშვილი, კ. კუჭუხიძე, ტ. ხოშტარია, გ. კუცია და რ. კაჭარავა.
საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი გ. ხურცილავა და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე.

   მომხს. დ. ცანავა

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

   მომხს. გ. ხოშტარია

1

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი და პროექტის ირგვლივ არსებული შენიშვნები.
აზრი გამოთქვეს: გ. ხოშტარიამ.
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:
საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის

დაბრუნების თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავა.
რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს გ. ხოშტარია

მომხსენებელმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გ. ხოშტარიამ წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა მოწვეულ იქნეს 2023 წლის 24 ნოემბერს დილის 10 საათზე, დღის წესრიგით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის მორიგი №15 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. გ. ხოშტარია

2. აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე.

   მომხს. დ. ცანავა

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გ. ხოშტარია